

ხალიფა და არაბი

ბაღდადის ხალიფამ ინადირა და ცხენის ჭენებაში დიდებულთა მოსცილდა. ერთი ოდენ ვაზირი იახლა. დია მოშივდა.

ნახა უდაბნოში ერთი შავი კარავი. მივიდეს, ნახეს. არაბი იყო. სამი თხა ჰყვანდა, სხვა არა ებადა რა. მუნ გარდახდენ და საჭმელი მოინდომეს. არაბმან ერთი თხა დაკლა, მოხარშა და მოიტანა, მოართვა. ხალიფამ ტვინის მეტი არა სჭამა რა.

არაბმან ვაზირს ჰკითხა: ხალიფამ რად არა სჭამა რაო?

ვაზირმან უთხრა: ჩვეულება აქვს, თუ არ ტვინსა, სხვას არასა ჭამსო.

აღდგა არაბი იგი, ორი თხაც დაკლა, ტვინი შემზადა და ხალიფას მოართვა.

მოახსენა ვაზირმან: ხედავს მაღალი ტახტი თქვენი მდაბალსა და უპოვარსა ამას არაბსა, რა ქმნა? მდიდარმან და უხვმან ვერ შეიძლოს ესრეთი ქმნა. თავმან შენმან, მდიდარი რასაც დახარჯავს, ათასი სხვა დარჩეს, ამას მის მეტი არარა ჰყვანდა და ყოველივე დახოცა და შენ გიმზადაო.

ხალიფამ თავისი ხელთსაჭერი არგანი მისცა და უბრძანა: მოდი, შენ კარსა ვერავინ დაგიხმავს, მე მრავალს წყალობას გიზამო!

მას დღესა ხალიფა წავიდა. და მეორეს დღეს არაბმან კვერთხთ აიღო და მივიდა კარი შევლო, შევიდა, ხალიფა ლოცვად იდგა, ზურგი კარისაკენ ჰქონდა, არაბი ვერა ნჰხა.

იკითხა არაბმან: ხალიფა რასა იქმსო? ხან მიწას დაემხოზა და ხან ზე ადგებო?

მსახურთ უთხრეს: ილოცავსო.

მას არაბს თურე არც ღვთის სახელი ესმოდა. არამც თუ ლოცვა სცოდნოდა. ჰკითხა: რას ილოცავსო?

უთხრეს: ღმერთს საქონელსა სთხოვსო.

არაბმან ეგრე უთხრა: ეგ სხვასა სთხოვს, მე მაგას რაღა ვსთხოვო? და წავიდა: ვისაც ეგ სთხოვს, მეც მასა ვსთხოვ, მომცემსო.

ხალიფამ მისი ვერც მოსვლა სცნა და ვერც წასვლა.

მივიდა არაბი თავის კარავში და მანცა ეგრე ქმნა იწყო, ვითა ხალიფასი ენახა. ამას იტყოდა: ვისაც ხალიფა საქონელსა სთხოვს მეც მომეც, გლახაკი ვარო!

გამოხდა მცირე დღენი. კარავი იგი აიღო და სხვაგან აღმართა. რა კერის ადგილი გასჭრა, დიდი ორმო გამოჩნდა, ოქროთა და ვერცხლითა სავსე. ეგრევე თავს დაჰბურა. წავიდა

არაბი, ჯოხი ხელთ ჰქონდა. შევიდა ხალიფასთან და თაყვანის სცა.

უბრძანა ხალიფამ: აქამდის რად არ მოხვედო? =

მან ყოველივე ყოფილი მოახსენა: ვისცა შენ სთხოვდი, მეც იმას ვსთხოვე და ერთი ორმო სავსე ოქრო და ვეცხლი მომცაო. აწ მწერალი მიბოძე, თქვენთვის წამოაღებინეო.

ბრძანა ხალიფამ წასვლა მწერლისა და აღწერა. შეჰხედა ვაზირმან და მოახსენა: ერთს გლახაკს არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანე და არა გთხოვა. ღმერთს მაგიათვის მიუცია და მასაც შენ ართმევო? =

- ჰე მფეო, ეს არაკი ამისთვის მოგახსენე, ბედი ყოველსა კაცსა აქვს, თუცა პატრონი არა რისცხავს: თუცა მოგეკალ, ჩემი სვე-ბედი ცუდად იყო. უბრძანა მეფემან:

- ნაღველი შემომეჭიდა და მან მიყო. ნეტამც უნაღველო ვიყო, ღმერთს ვევედრები.

თქვა ლეონ არაკი: